ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №6595038

ნომერი: AR1977779

თარიღი : 12.07.2023

გაცემის თარიღი : 02.08.2023

გაცნობის თარიღი : 02.08.2023

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ზურაბ საკანდელიძის ქუჩა N7;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ბუდუ რამიშვილი პ/ნ 01027035998
- თბილისი ნიკო ბურის 25 ბ.10

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება

გადაწყვეტილება

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2023 წლის 12 ივლისს №AR1977779 განცხადებით მომართა ბუდუ რამიშვილმა და მოითხოვა სამსახურის 2022 წლის 28 ნოემბრის №6217539 გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად,

შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახური, 2022 წლის 28 ნოემბრის №6217539 გადაწყვეტილებით, დაეთანხმა ქ. თბილისში, ზურაბ საკანდელიძის ქუჩა №7-ში მდებარე №01.14.08.001.056.01.001 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული ფართის ფასადზე საჩრდილობლის მოწყობის შესაძლებლობას.
აღსანიშნავია, რომ სამსახურის 2023 წლის 19 ივლისის №6570503 გადაწყვეტილებით, დავით ვაშაკიძეს უარი ეთქვა ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების ცვლილების (ფოტომონტაჟის კორექტირება) თაობაზე.
წინამდებარე განცხადებით, განმცხადებლის მიერ მოთხოვნილია 2022 წლის 28 ნოემბრის №6217539 გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადება იმ საფუძვლით, რომ აღნიშნული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი წარმოადგენს უკანონოს.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61–ე მუხლი განსაზღვრავს აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების საფუძვლებს, კერძოდ ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია ძალადაკარგულად გამოაცხადოს კანონის შესაბამისად გამოცემული აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.
აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე სამსახურს უფლება აქვს ძალადაკარგულად გამოაცხადოს კანონიერი აქტი, რომელიც, როგორც ფორმალური, ისე მატერიალური თვალსაზრისით უნდა იყოს კანონიერი, ხოლო ამავე კოდექსის მე–60 პრიმა მუხლით, განსაზღვრულია აქტის ბათილად ცნობის საფუძვლები, კერძოდ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს ბათილად ცნობს მისი გამომცემი ადმინისტრაციული ორგანო, ხოლო საჩივრის ან სარჩელის შემთხვევაში – ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო ან სასამართლო.
ამასთან, ადმინისტრაციული საჩივარი არის დაინტერესებული მხარის მიერ უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში ამ კოდექსით დადგენილი წესით წარდგენილი წერილობითი მოთხოვნა დარღვეული უფლების აღდგენის მიზნით იმავე ან ქვემდგომი ორგანოს მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად გამოცხადების, შეცვლის ან ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ისეთი მოქმედების განხორციელების ან ისეთი მოქმედების განხორციელებისაგან თავის შეკავების შესახებ, რომელიც არ გულისხმობს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან, არ არსებობს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61–ე მუხლით განსაზღვრული არცერთი საფუძველი, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა სამსახურის 2022 წლის 28 ნოემბრის №6217539 გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადებასთან დაკავშირებით.
დამატებით გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ, 2023 წლის 13 ივლისს, წარდგენილ იქნა №19-01231941451-10 ადმინისტრაციული საჩივარი სამსახურის 2022 წლის 28 ნოემბრის №6217539 გადაწყვეტილების ბათილად ცნობის მოთხოვნით. განგიმარტავთ, რომ ამ ეტაპზე ადმინისტრაციული საჩივარი განხილვის პროცესშია და სამსახური იმოქმედებს კანონიერ ძალაში შესული საბოლოო გადაწყვეტილების შესაბამისად.
წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, შარტავას ქუჩა №7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.